15/06/2026

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III-ის ქადაგება სულთმოფენობიდან მეორე კვირას

„შეგვეწიოს უფალი, რომ ყოველთვის გვესმოდეს ქრისტეს ხმა და ვუპასუხოთ მას სიწმინდისაკენ, სრულყოფილებისკენ სწრაფვით და იმით, რომ ჩავწვდეთ ცხოვრების უმთავრეს მიზანს – პირველად ვეძიებდეთ ღვთის სასუფეველს...“

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III-ის ქადაგება სულთმოფენობიდან მეორე კვირას

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა!

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო,

პატიოსანნო მამანო, ძმებო და დებო!

გილოცავთ სულთმოფენობიდან მეორე კვირას!

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ღირსი ათონელი მამების ხსენებას. შეგახსენებთ, რომ სულთმოფენობას ეკლესია ზეიმობდა თავისი დაარსების, დაბადების დღეს. პირველი

კვირა სულთმოფენობიდან ეძღვნებოდა ყველა წმინდანის ხსენებას. დღეს კი წმინდა ეკლესია მოგვიწოდებს ღირსი ათონელი მამების განდიდებისკენ, ასევე ხსენებაა რუსეთში მოღვაწე წმინდანებისა.
როგორც მითქვამს თქვენთვის, ეს კვირა დღეები სულთმოფენობის შემდეგ დადგენილია იმის ნიშნად, იმის დასტურად, რომ სულთმოფენობის შემდეგ, სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ წმინდა ეკლესია წარმოშობს დიდ ადამიანებს, წმინდანებს, რომლებსაც უნდა მივბაძოთ და რომელთა ლოცვით, რომელთა მაგალითით, რომელთა მოხსენიებით ვიკურთხებით და განვიწმინდებით.
დღეს, როცა ვიხსენებთ იმ მოსაგრეებს, რომლებმაც მოციქულების მსგავსად, ყველაფერი მიატოვეს და ქრისტეს შეუდგნენ, წაკითხული იყო სახარება უფალ იესო ქრისტეს მიერ თავისი პირველი მოწაფეების გამორჩევის შესახებ. მან მოუწოდა პეტრეს, ანდრიას, იაკობს, იოანეს და სულ რამდენიმე სიტყვა უთხრა: მოდით და შემომიდექით მე და გყვნე თქვენ მესათხევლე კაცთა (მთ. 4, 19). მათ მყისიერად დატოვეს ყველაფერი – მათი საქმიანობა, ოჯახები და გაჰყვნენ უფალს.
რატომ მოხდა ასე? ასე სწრაფად, ასეთი მონდომებით რატომ შეუდგნენ უფალს? რა იყო ამის მიზეზი?
როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, მიზეზი ასეთი მყისიერი შედგომისა არის ის, რომ მათ უფალ იესო ქრისტეში დაინახეს დიდი მადლი, დაინახეს უმჯობესი, უკეთესი, ვიდრე ოდესმე რამე ენახათ და გაეგონათ. ეს არის, საერთოდ, ადამიანური ბუნების თვისება: როდესაც იხილავს ან იგემებს რაიმე უმჯობესს, ადამიანი ტოვებს უარესს და ირჩევს ამ უმჯობესს. ამიტომაც გაჰყვნენ ისინი უფალს და მოხდა ზუსტად ის, რასაც შემდგომ უფალი იესო ქრისტე აღწერს თავის იგავებში: ყანაში დაფლული საუნჯის შესახებ და ძვირფასი მარგალიტის თაობაზე. ეს არის ყველაზე მოკლე იგავები სახარებისა.
უფალი ამბობს: – მსგავსია სასუფეველი ცათა ყანაში დაფლული განძისა, რომელიც ადამიანმა იპოვა და წავიდა სიხარულით. ჯერ დამალა ეს განძი და სიხარულით წავიდა, გაყიდა ყველაფერი და ეს მიწის ნაკვეთი იყიდა (მთ. 13, 44). და სასუფეველი ცათა მსგავსია ვაჭარი კაცისა, რომელიც ეძებს ძვირფას მარგალიტებს. მან იპოვა ასეთი მარგალიტი. წავიდა, გაყიდა ყველაფერი და ამ ფულით იყიდა ეს ერთი მარგალიტი (მთ. 13, 45-46).
რა არის ეს განძი და მარგალიტი, ძვირფასო ძმებო და დებო? – ეს არის რწმენა უფლისა და ამ რწმენის ძალით, მეშვეობით ღმერთთან ურთიერთობა, ღმერთთან კავშირია, რომელიც უკვე ნათლობიდანვე გვეძლევა.
მაშინ ისმის კითხვა: რატომ არ აფასებს ბევრი ადამიანი სათანადოდ, ჯეროვნად ამ განძს და საუნჯეს და ადვილად ცვლის მას რაღაც ამსოფლიურ ამაოებაზე?
როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ ადამიანს აღზრდის დროს, ანუ ბავშვობიდანვე, არ აზიარებენ ამ საუნჯეს. მან არ იცის ამ მადლის, ამ მაღალი სულიერი მდგომარეობის გემო.
მაშ რა იცის? – მან იცის უარესი მდგომარეობების გემო. ამ უარესთა შორის რომელია მეტად თუ ნაკლებად უკეთესი ან უარესი, ეს იცის მხოლოდ და ამაზე აფუძნებს შემდეგ

თავის შეხედულებებს. ვიმეორებ, მან არ იცის მაღალი სულიერი მდგომარეობის განცდა, არ უგემია ის. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ზოგიერთ ადამიანს უფალი მოუწოდებს და ისინიც მიჰყვებიან, ზოგს კი უფალი მოუწოდებს, მაგრამ გაურბიან მას.
აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი შვილები ბავშვობიდანვე ვაზიაროთ ქრისტიანულ ღირებულებებს, რომ ჩვენც ვუპასუხოთ უფლის ამ მოწოდებას და ჩვენი შვილებიც მივიყვანოთ ამასთან, რომ სიბნელეში კი არა, ნათელში ვიაროთ.
რას ნიშნავს, როცა ჩვენი შვილები ბნელსა შინა დადიან? – ბევრ ჩვენგანს განუცდია ეს, როცა შვილი გზას ასცდება და ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ამაზე დიდი სიმწარე და ტკივილი მშობლისთვის ალბათ არ არსებობს.
ამიტომ დავფიქრდეთ ამაზე. გონიერი ადამიანი ყოველთვის უპასუხებს უფლის ამ მოწოდებას: იყავით სრულ, როგორც მამა თქვენი ზეცათა სრულ არს (მთ. 5, 48).
კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს – ღირსი ათონელი მამების ხსენებას! მათი ლოცვით, შეგვეწიოს უფალი, რომ ყოველთვის გვესმოდეს ქრისტეს ხმა და ვუპასუხოთ მას სიწმინდისაკენ, სრულყოფილებისკენ სწრაფვით და იმით, რომ ჩავწვდეთ ცხოვრების უმთავრეს მიზანს – პირველად ვეძიებდეთ ღვთის სასუფეველს.
მაგრამ ეს მადლი რომ მოვიხვეჭოთ, აუცილებლად უნდა ვისწავლოთ თავმდაბლობა, რადგან როგორც გვასწავლის წმინდა წერილი, მხოლოდ მდაბალთა მიანიჭებს მადლს უფალი (იგ. 3, 34; იაკ. 4, 6) და „მდაბალნი სულითა აცხოვნნეს“ (ფს. 33, 19). ამინ!
ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!
ჩვენთან არს ღმერთი!

თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარი

14 ივნისი, 2026 წელი

ელექტრონული ვერსია მოამზადეს ანზორ ჩიქობავამ და თამარ ასათიანმა

[საქართველოს საპატრიარქო]